ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №5

19 თებერვალი

2021 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს

ბიუროს წევრთა

სარეგისტრაციო სია

19 თებერვალი, 2021 წელი.

ბიუროს რიგგარეშე სხდომა № 5

1. ნუგზარ ჯამბურია -
2. კობა ძიძიგური -
3. მანანა სირბილაძე -
4. შალვა არზუმანიანი -
5. ბადრი შენგელია V-
6. მერაბ უღრელიძე -
7. გიორგი ლეჟავა -
8. ტარიელ დვალიშვილი -
9. ემზარ შუბლაძე V -
10. რაჟდენ ტორონჯაძე V -
11. დავით ამაღლობელი -
12. ვაჟა სტურუა -
13. ლიზა კრავეიშვილი -
14. ილია მჟავია -
15. ავთანდილ თადუმაძე V -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 5

ქ. სამტრედია. 19 თებერვალი, 2021 წელი.

2021 წლის 19 თებერვალს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ამაღლობელი, ვაჟა სტურუა, ლიზა კრავეიშვილი, ილია მჟავია.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 30000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 34.06.45.368) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ.
   /მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/
2. ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 7327.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.764) 7127.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სკვერის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
   /მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/
3. ,,ქალაქ სამტრედიაში მდებარე 6077.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სკვერის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.64.175) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ივლისის №38 81 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.
   /მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/
4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.
   /მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/

5. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N38 192 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მანანა სირბილაძე/

6. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერის 37/767, 16/02 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 30000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 34.06.45.368) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 30000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 34.06.45.368) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადასცეს გიორგი თევზაძეს.

- იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) წელი.

- ქირის წლიურ საფასურად (ქირის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარი (25 წლის იჯარის ქირა 15000 (თხუთმეტიათასი) ლარი).

- ქირა განაწილდება ყოველ თვეზე და ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერის 37/767, 16/02 /2021 წ. წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ჭალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 7327.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.764) 7127.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, - სკვერის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს, (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცეს ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 7327.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.764) 7127.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - სკვერი.

- სკვერის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 10 (ათი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერის 37/767, 16/02 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ქალაქ სამტრედიაში მდებარე 6077.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სკვერის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.64.175) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ივლისის №38 81 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ სამტრედიაში მდებარე 6077.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სკვერის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.64.175) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ივლისის №38 81 განკარგულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერის 37/338, 29/01 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება,

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო ყოველი წლის 1 მარტამდე ღებულობს დადგენილებას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ. კერძოდ, განისაზღვრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის საკითხი და მომზადდა დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად დაიყოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალაქ სამტრედიის ტერიტორია სამ ზონად:

ა) ცენტრალური (დანართი №1 მიხედვით);

ბ) შუალედური (დანართი №2 მიხედვით);

გ) პერიფერიული (დანართი №3 მიხედვით).

შემოღებულ იქნეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე ლოკალური ტერიტორიული ინდექსები:

ა) ცენტრალური ზონისათვის - 1,3;

ბ) შუალედური ზონისათვის - 1,0;

გ) პერიფერიული ზონისათვის - 0,7.

განისაზღვროს ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასები შემდეგი ოდენობით:

ა) ცენტრალური ზონა - 1 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 10 ლარი (0.58 X 1.3 X 0.24 X 55);

ბ) შუალედური ზონა - 1 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 4 ლარი (0.58 X 1.0 X 0.24 X 29);

გ) პერიფერიული ზონა - 1 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 3 ლარი (0.58 X 0.8 X 0.24 X 30).

სამტრედიის მუნიციპალიტეტში შემავალი დაბის ტერიტორიაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქის ტერიტორიის შუალედური ზონის 75%-ის ოდენობით, ხოლო სამტრედიის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლის ტერიტორიაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქის ტერიტორიის შუალედური ზონის 50%-ის ოდენობით, კერძოდ:

ა) დაბა - 1 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 3 ლარი;

ბ) სოფელი - 1 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 2 ლარი.

ქალაქის პერიფერიული ზონის, დაბისა და სოფლის ტერიტორიაზე მდებარე საერთაშორისო და შიდა საბელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 (ორმოცდაათი) მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის შუალედური ზონისათვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 75%-ის ოდენობით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მაჟორიტარები"-ს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, განცხადება. განცხადება ეხება ფრაქციისათვის სახელის ცვლილებას. კერძოდ, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეებს" შეეცვალა სახელი და ეწოდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მაჟორიტარები".

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 30000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 34.06.45.368) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

   /მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/

2. ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 7327.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.764) 7127.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სკვერის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   /მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/

3. ,,ქალაქ სამტრედიაში მდებარე 6077.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - სკვერის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.64.175) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის. თანხმობის მიცემის თაობაზე", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ივლისის №38 81 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მერაბ უღრელიძე/

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N38 192 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მანანა სირბილაძე/

6. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომა გაიმართება 2021 წლის 22 თებერვალს, 10[00] საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: *ნუგზარ ჯამბურია*

სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის

საკრებულოს

ბიუროს **რიგგარეშე** სხდომის

ო ქ მ ი №5

შედგება "8" /ხვ

ფურცლისაგან

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნუგზარ ჯამბური

2021 წელი